ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01/84
(**80530000** - პროფესიული ტრენინგების უზრუნველყოფა)

ქ. თბილისი 4 ივნისი, 2012 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის გიორგი გულუას და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „კვალიფიციური განათლების საერთაშორისო ცენტრი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა თაბუკაშვილის სახით, (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და მე-10[1] მუხლის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია: საკუთარი ფინანსური სახსრების ფარგლებში პროფესიული ტრეინინგის (კერძოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული არრიცხვის კურსი) მომსახურების უზრუნველყოფა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

– სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ ერთ თანამშრომელზე (მაია ფხაკაძე) სათანადო პროფესიული ტრეინინგის ჩატარების მომსახურება.

1.3 ტრეინინგის ხანგრძლივობა ჯამში შეადგენს 30 (ოცდაათი) საათს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის მომსახურების ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის მომსახურების მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ სათანადოდ გამოყოფილ ადგილზე, ტრეინინგ-კურსები უნდა ჩატარდეს 2012 წლის 4 ივნისიდან 10 ივლისამდე.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

4.4 მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტის მიწოდება შესრულებულ მომსახურებაზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მარიამ იმედაძე (შემდგომში – შემსყიდველი), და ააიპ „მართვის აკადემიის ტავმჯდომარე ალექსანდრე ჯეჯელავა (შემდგომში – მიმწოდებელი).

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს ინვოისი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში. წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 მუხლით განსაზღვრულ შესაბამის საბანკო ანგარიშზე

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შეასრულოსხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- შეასრულოსხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05 %-ს.

8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 1 აგვისტომდე ან/დამხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა/დამატება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ან, უკიდურეს შემთხვევაში, გამოიყენოს შეტყობინების ალტერნატიული საშუალებები. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისიმერი დავა გადაწყდება მედიაციის გზით მხარეთა შორის მოლაპარაკების საფუძველზე 45 სამუშაო დღის განმავლობაში მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს “დავების განმხილველი ცენტრის” დებულების შესაბამისად.

12.2. იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის მოლაპარაკება არ შედგება ან დასრულდა უშედეგოდ, მხარეები დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართავენ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შპს “დავების განმხილველ ცენტრს” (რეგისტრაციის კოდი 204547348, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, პირველი სართული, www.drc-arbitration.ge).

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემები",
მისამართი: ქ. თბილისი, საქართველო, ფანჯიკიძის ქ. N1ა,
ს.კ 205300048;

უფროსი: გიორგი გულუა

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „კვალიფიციური განათლების საერთაშორისო ცენტრი"; მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზირი #8, საიდენტიფიკაციო კოდი: 406030094, პროკრედიტ ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა GE30PC0263600100013074

დირექტორი: ხათუნა თაბუკაშვილი

(ხელმოწერა)